რეკომენდაციები შუალედური შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს შეუძლიათ გამოიყენონ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სარჩევი

განმავითარებელი შეფასების შესახებ 3

შემაჯამებელი დავალება 5

პრაქტიკული დავალება 6

პრეზენტაცია 7

პორტფოლიოს წარდგენა 7

დასრულებული ან მიმდინარე პროექტი 7

პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით 8

გამოყენებული ლიტერატურა 9

განმავითარებელი შეფასების შესახებ

შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

შუალედური შეფასების სამიზნეა შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი დასრულებული მოდულების სწავლის შედეგები, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების იდენტიფიცირება ხდება განვლილი მოდულების შინაარსის ანალიზის საფუძველზე, პროგრამის სწავლებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის მიერ, მთლიანად პროგრამისთვის.



შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს შუალედური შეფასების ჩატარება, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა არ აღემატება 75 კრედიტს.

შუალედური შეფასება საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ პროფესიული სტუდენტის პროგრესს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და დროულად უზრუნველვყოთ ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში. ცალკეული მოდულის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისგან განსხვავებით, შუალედური შეფასება ერთიანობაში უყურებს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს.

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა:



განმავითარებელი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შეფასების როგორც დიფერენცირებული, ისე არადიფერენცირებული მიდგომები.

განმავითარებელი შეფასების დროს პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოხმაურებისა და უკუკავშირის დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც თვითრეფლექსიაში ეხმარება. მასწავლებლის მიზანია: ასწავლოს სტუდენტს, როგორ ისწავლოს (სწავლის სწავლა) და ამავე დროს, მიიღოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებების შესახებ, რათა დაეხმაროს მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

განმავითარებელი შეფასება თავისი არსით სწავლის პროცესის შეფასებაა. განმავითარებელი შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სწავლების მიდგომების გადახედვა და კორექტირება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული.

შუალედური შეფასების დაგეგმვისას, მიუხედავად შერჩეული მიდგომისა, დაწესებულებას შეუძლია ზოგადი მოდულების ინტეგრირება, როგორიც შეიძლება იყოს: პრეზენტაციის ორ ენაზე მომზადება, სამეწარმეო პროექტი, ბლოგის შექმნა და სხვა.

შემაჯამებელი დავალება

შემაჯამებელი დავალება სხვადასხვა საკითხების ერთობლივი, კომპლექსური ხედვის საშულებას იძლევა. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ აძლევენ დასამუშავებელ თემებს, რომელსაც შემდგომ თითეული მათგანი წარმოადგენს პრეზენტაციის სახით. აღნიშნული დავალების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ნამუშევრის წარდგენაა, სადაც პროფესიული სტუდენტი საუბრობს იმაზე, რა სტრატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა, ახლა რომ იწყებდეს დავალების შესრულებას. შემაჯამებელი დავალების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დასმული დამაზუსტებელი კითხვები.

კითხვები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

აღწერე დავალების შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები და მათი თანმიმდევრობა;

აღწერე დაბრკოლებები, რომელსაც წააწყდი მუშაობის პროცესში? გადალახე თუ არა ეს დაბრკოლება და რა იყო დაბრკოლების მიზეზი? რა ხერხს მიმართავ მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა?

რა გაგიადვილდა დავალების შესრულებისას? რა გაგიძნელდა? რა იყო ამის მიზეზი?

აღწერე რას გააკეთებდი განსხვავებულად, ეხლა რომ იწყებდე იმავე დავალებაზე მუშაობას?

შემაჯამაბელი დავალების შესაფასებლად შემფასებელ ჯგუფს აუცილებლად უნდა ქონდეს მომზადებული შეფასების ფორმა, იქნება ეს შეფასების რუბრიკა თუ სხვა.

პრაქტიკული დავალება

პრაქტიკული დავალების შეფასება შესაძლოა ორი გზით განხორციელდეს: პროცესზე დაკვირვებით და პროდუქტის შეფასებით.

პროცესზე დაკვირება გულისხმობს შემფასებლის დაკვირვებას პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების შესრულებისას. დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ გარემოში, სადაც პროფესიულ სტუდენტს დავალების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობა გააჩნია.

მაგალითად, როდესაც ფასდება გარკვეული ნაწარმის შექმნისას ტექნოლოგიური პროცესების თანამიმდევრობის დაცვის კომპეტენცია, პროცესზე დაკვირვება ყველაზე მეტად შესაბამისია, რადგან საბოლოო პროდუქტში ყოველთვის შესაძლოა არ ჩანდეს, დაცული იყო თუ არა ტექნოლოგიური პროცესები.

პროცესზე დაკვირვება არ გამორიცხავს პრაქტიკული დავალების შესრულებისას შემფასებლის მიერ ზეპირი შეკითხვების დასმას. ეს საჭიროა, რათა შემფასებელი დარწმუნდეს, რომ შესაფასებელი პირი ამა თუ იმ მოქმედებას გაცნობიერებულად აკეთებს, რაც ცოდნის ინტეგრირებულად შეფასების შესაძლებლობასაც იძლევა.

პროდუქტის შეფასება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების შეფასებას, როდესაც არ არის აუცილებელი პროცესზე დაკვირვება, დავალება სრულდება ნებისმიერ ადგილას, მათ შორის დამოუკიდებლადაც, ხოლო შეფასების საგანია საბოლოო პროდუქტი.

საბოლოო პროდუქტი შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი მაკეტი, დეტალი ან სტუდენტის მიერ დამზადებული სხვა სახის ნაკეთობა. ეს ასევე შეიძლება იყოს არამატერიალური სახით, ელექტრონული სახის პროდუქტები, როგორებიცაა კომპიუტერული პროგრამა, დიზაინი, ბლოგი და სხვა.

პრაქტიკული დავალების შეფასებისას შესაძლოა პრობლემური იყოს საბოლოო პროდუქტის ავთენტურობის საკითხის დადგენა, ანუ რამდენად არის პროდუქტი შესაფასებელი პირის მიერ შექმნილი. შეფასების პროცესი არ გამორიცხავს შემფასებლის მიერ დამატებითი შეკითხვების დასმას, რაც შემფასებელს შექმნილი პროდუქტის ავთენტურობის დადგენაში დაეხმარება.

პრეზენტაცია

შუალედური შეფასებისთვის შესაძლოა პროფესიულმა სტუდენტმა ყველა დასრულებული მოდულის შესახებ წარმოადგინოს პრეზენტაცია/ პრეზენტაციები, ან შეფასებამდე გონივრული ხნით ადრე მისცეს მასწავლებელმა სტუდენტებს თემები, რომელიც იქნება კომპლექსური და დაუკავშირდება რამდენიმე მოდულს ერთდროულად.

პრეზენტაციის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ შეფასდეს არა მხოლოდ წარმოდგენილი თემა, არამედ პრეზენტაციის შექმნის, წარდგენის უნარებიც.

პორტფოლიოს წარდგენა

პორტფოლიო წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში დაგროვებულ შესრულებული დავალებების ერთობლიობას. პორტფოლიო ხელს უწყობს შეფასების შედეგების დოკუმენტაციის წარმოებას, რაც გარე შემმოწმებელს ეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რომელ სწავლის შედეგებს მიაღწია შესაფასებელმა პირმა.

პორტოფლიო შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ფორმატის, ასევე სტუდენტის მიერ შესრულებული პროდუქტების ერთობლიობა. პორტფოლიოს შეფასების ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს თავად პროფესიული სტუდენტის მიერ მისი წარდგენა. შეფასება შეიძლება ფოკუსრებული იყოს როგორც შესრულებულ პროდუქტზე, ასევე სტუდენტის კრიტიულ აზროვნებაზე და დემონსტრირების უნარზე, თუ როგორ განიხილავს ამა თუ იმ პროდუქტის შესრულების ეტაპებს.

დასრულებული ან მიმდინარე პროექტი

სასწავლო პროცესში პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ს შეუძლიათ შუალედური შეფასების პერიოდში მიმდინარე ან დასრულებული პროექტის შეფასება განახორციელონ. პროექტი შესაძლოა იყოს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით წარდგენილი.

პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით

შინაარსის აღწერის მაგალითი:

შუალედური შეფასების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ანალიზი და თვითშეფასების ანგარიშის მომზადება. თვითშეფასების ანგარიშში წერილობითი/ელექტრონული ფორმით გადმოცემულია თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებაში პროფესიული სტუდენტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შუალედური ანგარიშის წარდგენასთან ერთად სტუდენტი ახდენს საკუთარი შედეგების ზეპირ პრეზენტაციას შემფასებელი ჯგუფის წინაშე.

პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის რეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით, მზადდება ინდივიდუალური სინთეზური ანგარიშები თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის, ისევე როგორც ზოგადი რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების სინთეზური ანგარიში მოიცავს:

- პროფესიული სტუდენტის ძლიერ და გასაუმჯობესებულ მხარეებს სწავლის შედეგებთან და საკვანძო კომპეტენციებთან მიმართებით;
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციების დოკუმენტი მოიცავს:

- პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს სწავლის შედეგებთან და საკვანძო კომპეტენციებთან მიმართებით;
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების რეკომენდაციებს;
- სწავლის შედეგების შეფასების გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

ორივე დოკუმენტი პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ერთობლივი მსჯელობისა და რეფლექსიის შედეგია.

აღიშნული შეფასების მიდგომის განხორციელებისას, პროფესიული განათლების მასწავლებლებ(ებ)ის მიერ წინასწარ უნდა შემუშავდეს თვითშეფასების ანგარიშის წერილობითი/ელექტრონული ფორმა, რომელიც მიემართება თითოეულ სწავლის შედეგს და რომელიც წინასწარ იქნება სტუდენტებთან გაზიარებული.

გამოყენებული ლიტერატურა

პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის

https://info.lse.ac.uk/staff/divisions/Eden-Centre/Assessment-Toolkit/Assessment-methods/Assessment-methods